ხელშეკრულება №01-67/2021
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი **თებერვალი, 2021 წელი**

ერთი მხრივ, **სსიპ – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო** (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ლევან მამალაძის სახით
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №89/24 - კ. მარჯანიშვილის №89/24;
საიდენტიფიკაციო კოდი: 205316399;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ/კოდი: TRESGE22

მეორე მხრივ, **შპს „ჯიტეკი“** (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ყიფიანის სახით
მისამართი: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №13 ა;
საიდენტიფიკაციო კოდი: 205204438;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა: GE21 TB194 643 608 010 0002;

ერთი მხრივ **შემსყიდველი**, ხოლო მეორე მხრივ **მიმწოდებელი**, ხელმძღვანელობენ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ადასტურებენ, რომ **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის , მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“ -ს მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად,** გამარტივებული შესყიდვის წესით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები
1.1.**”ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ”** (შემდგომში ”ხელშეკრულება”) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2.**”ხელშეკრულების ღირებულება”** - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3.**”დღე”, ”კვირა”, ”თვე”** - კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.4.**”შემსყიდველი”** - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.5.**”მიმწოდებელი”** - პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში;
1.6.**”შესყიდვის ობიექტი”** - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი და ხელშეკრულების საგნის მახასიათებლები
2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, შემსყიდველის მიერ, მიმწოდებლისგან, სააგენტოს ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის ოპერატიული რეაგირების და მონიტორინგის განყოფილების გამართული მუშაობისთვის საჭირო, ჩიპიანი ცხოველების იდენტიფიკაციის საშუალების, კერძოდ 2.2. პუნქტში მითითებული ჩიპის წამკითხველი მოწყობილობების (შემდგომში ,,საქონელი’’) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2.2. საქონლის მახასიათებლები:

№	*დასახელება/აღწერილობა*	*CPV კოდი*	*რაოდენობა / განზომილება*	*ერთეულის ფასი (ლარი)*	*ერთეულის ფასი (ლარი)*
1	*ჩიპის წამკითხველი მოწყობილობა Bewinner Mini RFID Reader, Microchip Scanner universal RFID reader.*	*30233000 - ინფორმაციის შემნახველი და წამკითხველი საშუალებები*	*5 ცალი*	*390.00*	**1950.00**

2.3. შესყიდვა განხორციელდება # *73-01210362453* მოხსენებითი ბარათის მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1950.00 (ერთიათასცხრაასორმოცდაათი)** ლარს, დღგ-ს ჩათვლით;
3.2. საქონლის ერთეულის ღირებულება მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 პუნქტში;
3.3. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და ასევე საქონლის მიწოდების ხარჯი.
3.4. შემსყიდველის დაფინანსების წყარო: **2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.**

მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შემსყიდველის მიერ მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

4.2. მიმწოდებელი ფაქტიურად მიწოდებული საქონლის თაობაზე შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ერთიანად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.4. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის გამო, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის გაფრთხილებიდან 10 დღის ვადაში მიაწოდოს მას ზემოაღნიშნულ პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე; ასეთ შემთხვევაში შემსყიდველს არ ეკისრება, გადახდის ვადის გადაცილების გამო წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო;

მუხლი 5. საქონლის მიწოდების ვადები, მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიწოდების ვადა - წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან 2021 წლის 25 მარტის ჩათვლით პერიოდში;

5.2. საქონლის შესყიდვის ადგილია: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №13 ა;

5.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ მხარეები მიწოდებული საქონლის თაობაზე აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს;

5.4. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველის მიერ იმ საქონლის მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით;

5.5. საქონლის მიწოდების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

5.6. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს - ტექნიკურ მენეჯერს ან/და ლოჯისტიკის მენეჯერს.

მუხლი 6. მხარეთა უფლებები

6.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში მოითხოვოს, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული ანაზღაურება;

6.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებითა და ვადაში;

6.2.2. არ მიიღოს უხარისო/ნაკლოვანი საქონელი.

6.2.3. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;

მუხლი 7. მხარეთა ვალდებულებები:

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს ხარისხიანი საქონელი შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

7.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.1.3. შეუთანხმოს შემსყიდველს საქონლის მიწოდების პროცესში წამოჭრილი სხვადასხვა საკითხები (ასეთი არსებობის შემთხვევაში);

7.1.4. მიმწოდებლის ვალდებულება საქონლის მიწოდებაზე ითვლება შესრულებულად საქონლის მიწოდების შემდეგ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისი დოკუმენტი;

7.1.5. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი აღმოჩნდა უხარისხო, შემსყიდველისგან გამოწვეული მიზეზის გარეშე, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისთანავე საკუთარი ხარჯით, გამოასწოროს ეს ნაკლი ან/და შეცვალოს ის ახლით, 3 (სამი) დღის განმავლობაში;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის თანხის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების 4.3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისგან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით „შემსყიდველის“ საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. თუ წინასწარი გაუთვალიწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წინასწარ, ცვლილების განხორციელებამდე მინიმუმ ორი სამუშაო დღით ადრე, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;
9.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
9.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი ფორმით, შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება დავა, წარმოქმნილი მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ;
10.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, მხარეებს შეუძლიათ დადგენილი წესის მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდელობის შესაბამისად.

მუხლი 11.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანი (შეთანხმების) გზით.

მუხლი 12. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო დააკისროს მიმწოდებელს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით;
12.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.
12.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12.4. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს ან/და მიმწოდებელს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება;

13. ხელშეკრულების კონტროლი

13.1. შემსყიდველს უფლება აქვთ განახორციელოს მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება ევალება, სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის, ოპერატიული რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსის მოადგილეს.

13.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა დაუყოვნებლივ.

14. ხელშეკრულების ენა

წინამდებარე ხელშეკრულება, მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლოა შეწყვეტილ იქნეს:

15.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

15.1.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

16. გარანტია

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 პუნქტში მითითებულ შესყიდვის ობიექტზე - ჩიპის წამკითხველ მოწყობილობაზე ვრცელდება მიწოდებიდან 6 (თვე) თვიანი გარანტია,

16.2. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია, 16.1. პუნქტში მითითებული მოწყობილობის ნებისმიერი საწარმოო დეფექტის აღმოფხვრა/შეკეთება განახორციელოს საკუთარი სახსრებით, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადა, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია გაიზარდოს გონივრული ვადით, თუ საჭირო გახდა მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ახლით ჩანაცვლება;

16.3. საგარანტიო პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები, ძალაშია მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა მე-16 მუხლისა (საგარანტიო ვადის ამოწურვამდე).

17.2. ხელშეკრულება, მხარეების მიერ სხვადასხვა თარიღში დამოწმება/დადასტურების შემთხვევაში, გაფორმებულად ჩაითვლება იმ თარიღში, როდესაც მეორე მხარე დაამოწმებს/დაადასტურებს ელექტრონული ხელმოწერით/ შტამპით.

შესყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ-ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო	**შპს „ჯიტეკი“**
დირექტორის მოადგილე	დირექტორი
_____	_____
ლევან მამალაძე	**გიორგი ყიფიანი**